ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი № 1

ქ. თბილისი

22.01.2018

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. **ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:**

1. **მანანა რატიანი** - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარე;

2. **გრიგოლ მურღულია** - ფილოლოგიის დოქტორი, შპს „ამერიკულ-ქართული განათლების ცენტრის" სკოლის პარტნიორი და დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

2. **გიორგი გიგიბერია** - ა(ა)იპ - ფონდი „საერთაშორისო განათლების ცენტრის" პროგრამების მენეჯერი;

3. **მარინა უშვერიძე** - PH-International - საქართველოს ოფისის სამოქალაქო განათლების პროგრამის დირექტორი;

4. **ხათუნა ბარაბაძე** - სსიპ - თბილისის პირველი ექსპერიმენტული საჯარო სკოლის დირექტორი;

5. **დავით მალაზონია** - სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

6. **თამილა ჩუბინიძე** - სსიპ - ალექსანდრე ცინცაძის სახელობის ქალაქ თბილისის N150 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე, მასწავლებელი, საბჭოს სხდომის მდივანი;

8. **რუსუდან სანაძე** - განათლების მეცნიერებათა დოქტორი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

9. **რევაზ აფხაზავა** - ა(ა)იპ - კავშირი განათლების პოლიტიკის, მართვის და დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;

10. **მაკა მამფორია** - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ მასწავლებელი;

11. **არჩილ სუმბაძე** - შპს „ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისის“ აკადემიური დირექტორი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლალი შაიშმელაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

რამაზ გიუნაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

ლევან გოგიჩაიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს ალბიონი;

მირანდა მუმლაძე - იურისტი;

მანანა ასათიანი - დირექტორი;

შპს დამოუკიდებელი სკოლა მოძღვარი;

მანანა გაბათაშვილი - დირექტორი;

დარეჯან ივანიშვილი - დირექტორის მოადგილე;

მაია ბოჭორიშვილი - ხარისხის მართვა;

შპს მრავალდარგობრივი გიმნაზია იბერია;

მადლენა მახარაძე - დირექტორი;

შპს თამარიონი;

გიორგი გიორგაძე - დამფუძნებელი;

თამარ უთნელიშვილი - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;

შპს ინტელექტი;

ნუგზარ ეხვაია - დირექტორი;

4.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში- ექსპერტები):

მაკა ნადარეიშვილი;

ქეთევან ბოტკოველი;

ლელა ფიცხელაური;

ნოდარ ანგურიძე;

იანინა გიგიბერია;

დავით ლიპარტელიანი;

მაკა ტუკვაძე;

სერგო დურგლიშვილი;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე მანანა რატიანი.

სხდომა გაიხსნა 18:10 საათზე, საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს ალბიონში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა
2. შპს დამოუკიდებელ სკოლა მოძღვარში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა
3. შპს მრავალდარგობრივ გიმნაზია იბერიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა
4. შპს თამარიონში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა
5. შპს ინტელექტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ლალი შაიშმელაშვილმა საბჭოსთან დააყენა შუამდგომლობა, რომ სხდომის დღის წესრიგში შესულიყო ცვლილება და შპს ალბიონში

განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა ნაცვლად პირველი საკითხისა განხილულიყო მეხუთე საკითხად, რადგან ექსპერტს შეექმნა გაუთვალისწინებელი პრობლემა და ვერ ახერხებდა საბჭოს სხდომაზე დროულად გამოცხადებას. საბჭო დაეთანხმა და ერთხმად დაამტკიცა შეცვლილი სხდომის დღის წესრიგი.

1. შპს დამოუკიდებელ სკოლა მოძღვარში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა
2. შპს მრავალდარგობრივ გიმნაზია იბერიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა
3. შპს თამარიონში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა
4. შპს ინტელექტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა
5. შპს ალბიონში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

1. შპს დამოუკიდებელ სკოლა მოძღვარში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ქეთევან ბოტკოველმა და ლელა ფიცხელაურმა. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

1.1. ექსპერტ, ქეთევან ბოტკოველის განცხადებით, დაწესებულებას საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით ხარვეზები არ გააჩნდა. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი იყო სკოლის თითოეული საფეხურის მიზნები და ამოცანები. სასწავლო შინაარსი კი ასახული იყო მასწავლებლების საგნობრივ და სააღმზრდელო პროგრამებში. მასწავლებლების საქაღალდეებში ინახებოდა თითოეული საგნის ესგ-ის შესაბამისი თემატური გეგმა, რომელიც ხელს უწყობდა სკოლის მისიის შესრულებას. სკოლაში ისწავლებოდა სამი უცხოური ენა, კერძოდ ინგლისური ენა (I-XII კლ.) , რუსული ენა (II –XII კლ.) და გერმანული ენა (V- IX კლასებში). საგნებიდან პრიორიტეტი ენიჭებოდა ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკისა და ინგლისური ენის სწავლებას. აღნიშნულ საგნებს ესგ-ს მოთხოვნის გათვალისწინებით 25%-იანი ცვლილების ფარგლებში მომატებული ჰქონდათ საათობრივი დატვირთვა. არჩევითი საგნებიდან ისწავლებოდა: X კლასში - ქიმიური ტექნოლოგიები; XI კლასში - შესავალი თანამედროვე ფიზიკაში; XII კლასში - მსოფლიო კულტურა.

XI კლასში მოსწავლეები გაკვეთილებზე იყოფოდნენ 4 საგანში: გეოგრაფია, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია. XII კლასში კი ქართულში, მათემატიკაში, ინგლისურსა და ისტორიაში. პედაგოგთა

განმარტებით აღნიშნული ხელს უწყობდა გამოსაშვები გამოცდებისათვის მოსწავლეთა უკეთესად მომზადებას.

ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება ფაკულტატური სახით მოიცავდა შემდეგ საგნებს: ქართული ცეკვები - (I-VI კლ.) და რელიგიის ისტორია და კულტურა (III-VIII კლ.). როგორც ესგ-ით განსაზღვრული სავალდებულო და არჩევითი საგნებისთვის, ასევე ფაკულტატური საგნებისთვის დასახული იყო სწავლების მიზნები და ამოცანები, შემუშავებული იყო თემატურ-კალენდარული გეგმები, შეფასების სისტემა და საჭირო საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი.

სპორტის სახეობებიდან დაწყებით საფეხურზე განსაზღვრული იყო ზოგადი ფიზიკური მომზადება (ფიზიკური აღზრდა), ასევე აერობიკა, ხოლო საბაზო და საშუალო საფეხურზე კალათბურთი, მაგიდის ჩოგბურთი და ფრენბურთი.

ყველა კლასს ჰყავდა დამრიგებელი, შემუშავებული იყო სადამრიგებლო პროგრამები. პროგრამა მოიცავდა მოსწავლის სოციალური უნარების, აკადემიური მოსწრების, წახალისებისა და დისციპლინური დარღვევების მონიტორინგს, დამრიგებლების სამოქმედო გეგმებს, კლასის საათების ჩატარების განრიგსა და თემატიკას, მშობლებთან ურთიერთობას, კლასისა და მოსწავლეთა ინდივიდუალური დახასიათების ფორმებს, ექსკურსიის დაგეგმვას, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ანგარიშებს.

საბჭოს თავმჯდომარემ, მანანა რატიანმა საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით, რაზეც საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

1.2. ექსპერტ, ქეთევან ბოტკოველის განცხადებით, დამოუკიდებელი სკოლა „მოძღვარი" მდებარეობდა ქ. თბილისში, ილია ბაბუციძის ქ. N12. სკოლა განთავსებული იყო 3008 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე მდებარე 4 სართულიან შენობაში, საერთო ფართით 2509,37 კვ.მ. შენობის მეორე და მესამე სართულზე განთავსებული იყო 12 საკლასო ოთახი, 2 დამხმარე ოთახი კლასების განაყოფებისთვის, 1 ბიბლიოთეკა, დირექტორის 1 კაბინეტი, 1 კომპიუტერების ოთახი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, სამედიცინო ოთახი, 2 სამასწავლებლო, სასადილო დარბაზი, სპორტული დარბაზი 125.17 კვ. მ. და 2 გასახდელი მოსწავლეებისათვის. საკლასო ოთახებში განთავსებული იყო მოსწავლის 168 მაგიდა და სკამი, ხოლო დასაწყობებული იყო 54 მაგიდა და სკამი, 12 დაფა. კომპიუტერების ოთახში კედელზე

დამონტაჟებული იყო დიდი საპროექციო ეკრანი და განთავსებული იყო 9 კომპიუტერი. დირექტორის და საქმეთა მმართველის კაბინეტებში იდგა 2 კომპიუტერი. დამხმარე ოთახებში განთავსებული იყო 2 ოვალური მაგიდა. სკოლას მფლობელობაში ჰქონდა 2 პროექტორი, 1 საპროექციო ეკრანი, 2 პრინტერი/კომბაინი, მაგნიტოფონები, 3 პიანინო, ელექტრო პიანინო.

სკოლას ჰქონდა ფიზიკა, ქიმია და ბიოლოგია-ანატომიის სასკოლო ლაბორატორიების სრული კომპლექტი, რომელიც საჭიროებისამებრ ივსებოდა შესაბამისი მასალით და რეაქტივებით. ლაბორატორიები განთავსებული იყო ოთახში, რომელშიც დამონტაჟებული იყო ონკანი, გამწოვი და მის გვერდით იყო დიდი ფანჯარა. ლაბორატორიის კაბინეტში განთავსებული იყო 21 მაგიდა და სკამი.

სკოლას ამ ეტაპზე არ ჰყავდა სსსმ მოსწავლე. სპეციალური საგანმანათლებო საჭიროების მოსწავლეთა და სხვა პირთა იმ კატეგორიისთვის, რომლებიც საჭიროებდნენ ეტლით გადაადგილებას, სკოლას დამზადებული ჰქონდა მოძრავი პანდუსი. სკოლის პირველ სართულზე იყო ადაპტირებული 1 სველი წერტილი სსსმ მოსწავლისათვის.

ვიზუალური დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ სკოლის შენობას და გარე პერიმეტრს აკონტროლებდა 11 ვიდეოკამერა. ორი 3 მეგაპიქსელიანი კამერა აკონტროლებდა ცენტრალურ შესასვლელს, სამი 2 მეგაპიქსელიანი სათადარიგო შესასვლელს ეზოს მხრიდან, ხოლო დანარჩენი 6 კამერით სკოლის სართულები კონტროლდებოდა. ცენტრალური შესასვლელის კამერები შეესაბამებოდა კანონით მოთხოვნილ სტანდარტს.

საბჭოს თავმჯდომარემ, მანანა რატიანმა საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით, რაზეც საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

1.3. ექსპერტ, ქეტევან ბოტკოველის განცხადებით, სკოლას ჰყავდა სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი. სკოლაში სულ 47 თანამშრომელი იყო. მათ შორის 26 მასწავლებელი. პირადი საქმეების გადამოწმებისას აღმოჩნდა, რომ 26 მასწავლებლიდან შვიდს უფროსი მასწავლების სტატუსი ჰქონდა, 15 პრაქტიკოსი მასწავლებელი იყო, 4 მასწავლებელი (სპორტის, ხელოვნების, მუსიკისა და ფიზიკის) არ იყო ჩართული სქემაში, დანარჩენი 4 მასწავლებელი შემცვლელი მასწავლებლის სტატუსით, დროებითი ხელშეკრულებს საფუძველზე ასრულებდა საგანმანათლებლო საქმიანობას.

უნდა აღინიშნოს, რომ სკოლაში მომუშავე მასწავლებლები თავისი კვალიფიკაციით შეესაბამებოდნენ დაკავებულ თანამდებობებს, ყველა მასწავლებელს ჰქონდა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი (დიპლომი).

საბჭოს თავმჯდომარემ, მანანა რატიანმა საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით, რაზეც საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს დამოუკიდებელი სკოლა მოძღვარის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 10

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს დამოუკიდებელი სკოლა მოძღვარის (ს/კ208156261) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

2. შპს მრავალდარგობრივ გიმნაზია იბერიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საჭოს სხდომას 18:30 წუთზე შემოუერთდა საბჭოს წევრი ხათუნა ბარაბაძე.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ. მან აღწერა ვიზიტის შედეგები და დასკვნები თითოეული სტანდარტის მიხედვით.

2.1. ექსპერტ ნოდარ ანგურიძის განცხადებით, შპს მრავალდარგობრივ გიმნაზია იბერიაში 2017 წლის 21-22 დეკემბერს განხორციელდა არაგეგმიური მონიტორინგი. მონიტორინგის საფუძველი იყო ქალაქ ბათუმის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ გამოგზავნილი წერილი. წერილში აღნიშნული იყო, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურის და სპორტის სამინისტრომ რესურსცენტრს დაავალა კერძო და საჯარო სკოლების მონიტორინგი სახანძრო უსაფრთხოების ნორმების დაცვის კუთხით. შენობაში არ აღმოჩნდა გამოკრული საევაკუაციო გეგმა და სკოლას არ ჰქონდა ხანძარსაწინააღმდეგო ცეცხლმაქრები. სკოლა ფუნქციონირებდა ახალ მისამართზე, დაუმთავრებელი საცხოვრებელი კორპუსის პირველ სართულზე, სადაც მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები, რაც, მათი აზრით, შეიძლებოდა საფრთხის შემცველი ყოფილიყო მოსწავლეებისთვის. ქალაქ ბათუმის რესურსცენტრმა ამის შესახებ აცნობა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 15 დეკემბრის№799 ბრძანების საფუძველზე მოხდა მატერიალური რესურსის გადამოწმება.

ექსპერტის თქმით, შპს მრავალდარგობრივი გიმნაზია „იბერია“ ფუნქციონირებდა ქ. ბათუმში, თაყაიშვილის ქუჩის N5-7-9-11-ში მდებარე ათსართულიანი სახლის პირველ და ე.წ. ანტრესოლის სართულებზე. ფართის მესაკუთრე იყო სკოლის დამფუძნებელი და დირექტორი მადლენა მახარაძე. სკოლა ფართს ფლობდა იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე, განუსაზღვრელი ვადით. გადაცემული ფართის საერთო ოდენობა შეადგენდა 506,5 კვ.მ.-ს.

პირველ სართულზე სკოლის სარგებლობაში იყო 77,61 კვ.მ, რომელსაც სკოლა იყენებდა სპორტული დარბაზის, გასახდელებისა და სველი წერტილების დანიშნულებით.

სკოლის სარგებლობაში არსებული დანარჩენი 428,89 კვ.მ. ფართი განთავსებული იყო შენობის ანტრესოლის სართულზე. სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა ამ ნაწილში. საგულისხმო იყო, რომ სკოლის შესასვლელი იზოლირებული იყო შენობის სხვა შესასვლელებისგან და სადარბაზო, რომლითაც სკოლა სარგებლობდა, მხოლოდ სკოლას ეკუთვნოდა და სხვა სუბიექტი ვერ ისარგებლებდა ამავე შესასვლელით. ამის გარდა, სკოლის სადარბაზოს წინ არსებული კორპუსის შიდა ეზოც იზოლირებული იყო და მასთან მისასვლელი სკოლას გადაკეტილი ჰქონდა რკინის ჭიშკრით.

აღსანიშნავი იყო, რომ ანტრესოლის სართულზე სკოლის მფლობელობაში არსებული ფართის გარდა იყო გაუსხვისებელი ფართიც (3 ოთახი), რომელიც ვიზიტის დროს დაკეტილი და გამოუყენებელი იყო. საბჭოს წევრების თქმით, ამ ოთახების სხვა პირზე გაყიდვის შემთხვევაში, სკოლის ფუნქციონირება საფრთხის ქვეშ დადგებოდა. საბჭომ ცენტრთან დააყენა შუამდგომლობა, ქალაქ ბათუმის რესურსცენტრში გადაემოწმებინათ ზემოაღნიშნული ფართების მდგომარეობა გონივრულ ვადაში.

ექსპერტმა, აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს სკოლაში არ იყო პანდუსი და ადაპტირებული სველი წერტილი. სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ყველა ხარვეზი უკვე გამოსწორებული იყო და თან წარმოადგინა ფაქტის დამადასტურებელი ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ, მანანა რატიანმა საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით, რაზეც საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მრავალდარგობრივი გიმნაზია იბერიის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 11

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს მრავალდარგობრივ გიმნაზია იბერიის (ს/კ245437772) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

3. შპს თამარიონში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საკითხის განხილვის წინ, საბჭოს სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა რუსუდან სანაძემ.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, იანინა გიგიბერიამ და დავით ლიპარტელიანმა. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები თითოეული სტანდარტის მიხედვით.

3.1. ექსპერტ იანინა გიგიბერიას განცხადებით, კერძო სკოლა შპს თამარიონმა ვიზიტის პირველ დღეს ვერ წარმოადგინა 2017-2018 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა. ნაცვლად, წარმოადგინა 2016 - 2017 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა. მასწავლებელთა პორტფოლიოებიც და შემაჯამებელი დავალებებიც წარმოდგენილი იყო ძირითადად, 2016-2017 სასწავლო წლისათვის.

სკოლამ მეორე დღეს წარმოადგინა ჩასწორებული სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც პედსაბჭოს სხდომაზე დამტკიცებული იყო 2017 წლის 5 სექტემბერს და რომელზე დაყრდნობითაც 2017-2018 სასწავლო წელს მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი. საბოლოოდ წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში იყო უზუსტობები, რაც გამომდინარეობდა იქედან, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა მექანიკურად იყო ჩასწორებული, მაგ: სწავლა იწყებოდა 17 ოქტომბერს. ექსპერტის თქმით, სკოლის დირექციასთან და პედაგოგებთან გასაუბრებით ირკვეოდა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებისა და შემდგომში მისი გაუმჯობესების მექანიზმი არსებობდა. თუმცა, რამდენად ხორციელდებოდა შესაბამისი საქმიანობები, ამის ამსახველი დოკუმენტაცია ვერ მოიძებნა. დირექტორის განმარტებით, სასკოლო სასწავლო გეგმაში ძირეული ცვლილებები არ ყოფილა, გეგმა იგივე დატოვეს.

საბჭოს წევრმა, ხათუნა ბარაბაძემ აღნიშნა, რომ ეს ნიშნავდა, რომ არ ხდებოდა წლის განმავლობაში გამოვლენილი ძლიერი და სუსტი მხარეების განხილვა და შესაბამისად, მათი ახალ სასკოლო სასწავლო გეგმაში ასახვა.

ექსპერტის განცხადებით, მასწავლებელთა პორტფოლიოების ნაწილი იყო 2016-2017 სასწავლო წლის. შესაბამისად, თემატური გეგმებისა და მოსწავლეთა შემაჯამებელი სამუშაოების ნაწილიც წარმოდგენილი იყო გასული სასწავლო წლისათვის. მასწავლებელთა გარკვეულმა ნაწილმა წარმოადგინა თემატური გეგმები და შემაჯამებლები მიმდინარე სასწავლო წლისათვის. ასევე, შემაჯამებელი სამუშაოების ნიმუშებთან ერთად, წარმოდგენილი იყო შემაჯამებლის ანალიზი და გაწერილი რეკომენდაციები. თუმცა რეკომენდაცია, უმეტეს შემთხვევაში, იყო ზოგადი.

საბჭოს თავმჯდომარემ, მანანა რატიანმა საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით, რაზეც საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

3.2. ექსპერტ იანინა გიგიბერიას განცხადებით, დაწესებულებას მატერიალურ და ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით გააჩნდა არსებითი ხარვეზები. სკოლაში იყო 10 საკლასო ოთახი. დაწესებულებას არ ჰყავდა პირველი და მეოთხე კლასები. აქედან გამომდინარე, სკოლა მუშაობდა ერთ ცვლაში. სკოლის მეორე სართულზე სასწავლო პროცესისათვის გამოყოფილი ოთახებიდან ერთ-ერთი, სადაც განთავსებული იყო მეთორმეტე კლასი, იყო მეორადი განათებით. ამავე ოთახში მოწყობილი იყო საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია. ექსპერტთა ვიზიტის პირველ დღეს ოთახში არ იყო გამწოვი და სველი წერტილი. სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ეს იყო მოძრავი ლაბორატორია და საჭიროებისას გაჰქონდათ შესაბამის კლასში. სკოლამ მეორე დღისათვის მეთორმეტე კლასის ოთახში, სადაც განთავსებული იყო ლაბორატორია, დააყენა გამწოვი.

ექსპერტის თქმით, მათ ვიზიტის პირველ დღეს, მათ სკოლაში არ დახვდათ მეთორმეტე კლასი, ასევე ვერ მოიძიეს მეთორმეტე კლასის ჟურნალი.

საბჭოს წევრმა, რევაზ აფხაზავამ სკოლის წარმომადგენელს მიმართა, რატომ არ იყვნენ მეთორმეტე კლასის მოსწავლეები სწავლის პროცესში სკოლაში, რაზეც სკოლის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მოსწავლეები იყვნენ გორის უნივერსიტეტში გამართულ ღონისძიებაზე, თუმცა მოგვიანებით აღნიშნა, რომ ზუსტად არ ახსოვდა, სად და რა ღონისძიებაზე იმყოფებოდნენ მეთორმეტე კლასის მოსწავლეები.

ექსპერტ დავით ლიპარტელიანის განცხადებით, მეორე სართულზე 3 ოთახი იყო ახალმოშენებულ ნაწილში, რომლის სარემონტო სამუშაოები ჯერ არ იყო დასრულებული, სკოლა აპირებდა შეემინა მოშენებული ნაწილი, რომელიც ვიზიტის დროს ღია კორიდორის სახით იყო დარჩენილი.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, გრიგოლ მურღულიამ აღნიშნა, რომ მისთვის გამაოგნებელი იყო შპს თამარიონის ექსპერტთა დასკვნაში აღწერილი ხარვეზების სიმრავლე და სიმძიმე. მან მაგალითებად მოიყვანა ექსპერტთა დასკვნის 2.2. ; 2.3. ; 2.6. ; 2.7. ; 3.1. ; 3.2. ; 3.4. 3.6 მუხლები. მან აღნიშნა, რომ მატერიალური რესურსის ნაწილში დაფიქსირებული ხარვეზები ისეთი სიმძიმის იყო, რომ საფრთხეს უქმნიდა მოსწავლეთა ჯანმრთელობას, მათ უსაფრთხოებას და ეჭვის ქვეშ აყენებდა სასწავლო პროცესის ხარისხიანად განხორციელების შესაძლებლობას. მან აღნიშნულ ხარვეზებთან დაკავშირებით მოითხოვა განმარტებები დაწესებულების მხრიდან. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, დასკვნაში აღწერილი ხარვეზების უმეტესი ნაწილი იყო ერთ დღიანი და მხოლოდ ვიზიტის დღეს დაემთხვა.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, გრიგოლ მურღულიამ სკოლის წარმომადგენელს მიმართა, რომ აღნიშნული ვერსია ძალიან დიდ ეჭვს იწვევდა, რასაც დაეთანხმნენ საბჭოს წევრები.

საბჭოს თავმჯდომარემ, მანანა რატიანმა 19:20 საათზე გამოაცხადა შესვენება.

საბჭოს სხდომა გაგრძელდა 19:40 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თამარიონის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 1

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნების და დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „გ'' ქვეპუნქტის, მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების'' 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ'' ქვეპუნქტისა 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, შპს თამარიონს (ს/კ417876739) გაუუქმდეს ავტორიზაცია.

4. შპს ინტელექტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საკითხის განხილვის წინ, საბჭს სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა არჩილ სუმბაძემ.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, მაკა ტუკვაძემ და სერგო დურგლიშვილმა. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები თითოეული სტანდარტის მიხედვით.

4.1. ექსპერტ მაკა ტუკვაძის განცხადებით, სკოლას ხარვეზები არ გააჩნდა საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით. შპს ინტელექტში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მონიტორინგის ვიზიტის საფუძველი გახდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმში №12 (30.08.2016) მითითებული ხარვეზები. კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით სკოლას საბაზო-საშუალო საფეხურზე არჩეული ჰქონდა სპორტის მხოლოდ ორი სახეობა: ჭადრაკი და ფრენბურთი. ვიზიტის პერიოდში სკოლას ხარვეზი გამოსწორებული ჰქონდა და სამი სპორტის სახეობა ჰქონდა არჩეული: ფეხბურთი, ჭადრაკი და აერობიკა.

საბჭოს თავმჯდომარემ, მანანა რატიანმა მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით, რაზეც საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

4.2. ექსპერტ მაკა ტუკვაძის განცხადებით, ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმში №12 (30.08.2016) მითითებული იყო მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით ხარვეზების არსებობის შესახებ. კერძოდ, სკოლა სარგებლობდა სხვა შენობაში განთავსებული სპორტული დარბაზით, ბიბლიოთეკით, სველი წერტილებით და სამედიცინო კაბინეტით, რომლითაც სარგებლობის

უფლება დაწესებულებას არც ხელშეკრულებით და არ საჯარო რეესტრიდან ამონაწერით არ უდასტურდეოდა. შენობის პირველ სართულზე განთავსებული იყო მეიჯარის წარმომადგენლობა. 2017-2018 სასწავლო წელი სკოლამ დაიწყო ახალ შენობაში. შესაბამისად, ხარვეზები გამოსწორებული იყო. დაწესებულებამ, 2017 წლის 27 აგვისტოს მოხსენებითი ბარათით აცნობა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს მომხდარ ცვლილებასთან დაკავშირებით.

ზემოხსენებულ ოქმში მითითებული იყო, რომ სკოლას არ მიეწოდებოდა ბუნებრივი აირი, გასათბობად იყენებდნენ შეშის ღუმელს, არ ჰქონდათ უწყვეტი წყლის მიწოდება, მუდმივად ყიდულობდნენ წყალს სხვადასხვა დანიშნულებისთვის, რაც ვერ უზრუნველყოფდა სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური წესების დაცვას. სველი წერტილები განთავსებული იყო ეზოში. ვიზიტის პერიოდში ხარვეზი გამოსწორებული იყო. დაწესებულებაში იყო საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, კარგი ბუნებრივი განათება, წყლის უწყვეტი მიწოდება და ცენტრალური გათბობის სისტემა. შენობის პირველ და მეორე სართულებზე განთავსებული იყო სველი წერტილები ცალკე გოგონებისათვის და ცალკე ვაჟებისათვის. სველი წეტილები განთავსებული იყო სკოლის ეზოშიც, სადაც დაცული იყო სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. სველ წერტილთან მისასვლელი პერიმეტრი კონტროლდებოდა სკოლის შენობაზე დამონტჟებული ვიდეოთვალით.

საბჭოს თავმჯდომარემ, მანანა რატიანმა მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით, რაზეც საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

4.3. ექსპერტმა მაკა ტუკვაძემ, ადამიანურ რესურსთან მიმართებით განაცხადა, რომ დაწესებულებას ჰყავდა სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული მასწავლებელთა რაოდენობა - 26 პედაგოგი, რომელთა საათობრივი დატვირთვა შეესაბამებოდა საათობრივ ბადეს. სკოლის შინაგანაწესით დაწესებულების სტრუქტურა მოიცავდა: დირექტორს, პედაგოგიურ საბჭოს და სკოლის დირექციას. სკოლის დირექციის შემადგენლობაში შედიოდნენ: დირექტორი, დირექტორის მოადგილე და ბუღალტერი.

სკოლის 26 პედაგოგიდან 23 პედაგოგი ჩართული იყო მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემაში და მინიჭებული ჰქონდა შესაბამისი სტატუსი. სკოლას ჰყავდა 5 უფროსი და 18 პრაქტიკოსი მასწავლებელი. პედაგოგებს, რომლებიც სქემაში არ იყვნენ ჩართულები, უდასტურდებოდათ კვალიფიკაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ, მანანა რატიანმა მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით, რაზეც საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ინტელექტის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 9

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ინტელექტში (ს/კ240393409) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

5. შპს ალბიონში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტებმა მაკა ნადარეიშვილმა საბჭოს წარუდგინა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა და შენიშვნები.

5.1 ექსპერტ მაკა ნადარეიშვილის განცხადებით, დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2017 წლის 12 და 13 დეკემბერს. ვიზიტის პერიოდში დაწესებულების მხრიდან გამოვლინდა სხვადასხვა სახის დარღვევები, დარღვევების უმრავლესობა გამოვლინდა საგანმანათლებლო პროგრამების ნაწილში.

სკოლის სასწავლო გეგმა არ იყო თანხვედრაში მასწავლებელთა საათობრივ დატვირთვასთან და გაკვეთილების ცხრილთან, აღნიშნულზე სკოლას მიეცა რეკომენდაცია თანხვედრაში მოეყვანათ სასკოლო სასწავლო გეგმა, მასწავლებელთა საათობრივ დატვირთვასთან და გაკვეთილების ცხრილთან. რეკომენდაცია გაითვალისწინა დაწესებულებამ და აღნიშნული ხარვეზი გამოსწორდა.

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი სავალდებულო მომსახურებით სკოლა მოსწავლეებს სთავაზობდა ინგლისურს, რუსულსა და მათემატიკაში დამატებით საათობრივ დატვირთვას კლასების შესაბამისად.

ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი სავალდებულო მომსახურებაში სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი იყო რუსული ენისა და ჭადრაკის სწავლება. მონიტორინგის ჯგუფმა სკოლის ადმინისტრაციას განუმარტა, რომ რუსული ენა და ჭადრაკი ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნები იყო, დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებად ითვლებოდაა ის საგნები, რომლებიც არ იყო ეროვნული

სასწავლო გეგმით გათვალისწინებული. შესაბამისად, ადმინისტრაციას მიეცა რეკომენდაცია, გაეთვალისწინებინათ მომავალი წლის სასკოლო სასწავლო გეგმის შედგენისას.

სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი შეფასების რუბრიკები უმეტეს შემთხვევაში იდენტური იყო, შეფასების კრიტერიუმები მეორდებოდა სხვადასხვა საგნებში, არ იყო გათვალისწინებული საფეხურისა და კლასის მოთხოვნები. სკოლის ადმინისტრაციას და მასწავლებლებს მიეცათ რეკომენდაცია საჭიროებაზე მორგებული შეფასების სქემების შექმნის შესახებ.

სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი იყო მოსწავლეთა კლასების მიხედვით ზღვრული რაოდენობა: პირველ კლასში 25 მოსწავლე, მეორედან - მეცხრე კლასებში 15-20 მოსწავლე. გაურკვეველი იყო, როგორ შეძლებდნენ პირველიდან მეორე კლასში გადასვლის შემდეგ მოსწავლეთა რაოდენობის 15-20 მოსწავლემდე დაყვანას, გასათვალისწინებელი იყო ისიც, რომ საკლასო ოთახების რაოდენობა არ იძლეოდა კლასის გაყოფის საშუალებას.

ამიტომ სკოლას მიეცა რეკომენდაცია შეემცირებინათ კლასში მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა, რადგანაც ზოგიერთ საკლასო ოთახში შეუძლებელი იყო შესაბამისი რაოდენობის მოსწავლეების განთავსება ერთ სასწავლო სივრცეში და ამავე დროს, მოსწავლეზე ორიენტირებული გარემოს შექმნა.

ვიზიტის შემდეგ სკოლამ გადმოაგზავნა ცენტრში დოკუმენტაცია, რის მიხედვითაც ირკვეოდა, რომ პირველ და მეორე კლასებში ერთ კლასში განისაზღვრა 12-18 მოსწავლე, ხოლო დანარჩენ მესამედან მეცხრე კლასის ჩათვლით 10-12 მოსწავლე.

პორტფოლიოების გადამოწმებამ და მასწავლებლებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემული შეფასების სქემები ძირითადად იდენტური და ზოგადი იყო ყველა საგანში. შეფასების საკითხი დასახვეწი იყო და ზოგიერთ შემთხვევაში პრობლემას წარმოდგენდა. გასაუბრებისას მასწავლებლებს გაუჭირდათ განმავითარებელი კომენტარის მაგალითის მოყვანა ან ჩვენება. საბაზო საფეხურზე გამოიყენებოდა მხოლოდ განმსაზღვრელი შეფასება, თუმცა წარმოდგენილი რუბრიკები არ იყო მორგებული საფეხურს, საგანსა და კონკრეტულ საჭიროებას. ასევე შეფასების ზოგადი და იდენტური სქემა იყო გაწერილი შემაჯამებელი დავალებების შეფასებისას.

ექსპერტმა განმარტა, რომ სკოლა გაეცნო და გაითვალისწინა დასკვნის პროექტში აღნიშნული შეუსაბამობები, შესაბამისად ცენტრში წარმოადგინა დოკუმენტაცია, რომლის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამებში გამოვლენილი ხარვეზების ძირითადი ნაწილი სკოლამ გამოასწორა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

5.2. ექსპერტმა მაკა ნადარეიშვილმა განმარტა, რომ სკოლამ ავტორიზაცია გაიარა 2013 წელს. მოსწავლეთა კონტიგენტი განესაზღვრა 135 მოსწავლით. ვიზიტის პერიოდში სკოლაში სწავლობდა 93 მოსწავლე. სკოლის შენობა ორსართულიანი იყო, სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა შენობის პირველი და მეორე სართულის ნაწილში, თუმცა სკოლის შესასვლელი საერთო იყო კერძო მოსახლესთან. კერძოდ ერთ ოჯახთან, რაც მოსწავლეთა უსაფრთხოებასა და დაცულობას სრულად ვერ უზრუნველყოფდა. აღნიშნულზე სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ მათ უკვე შეტანილი ჰქონდათ განაცხადი ქალაქის მერიაში ინდივიდუალური კიბის უჯრედის მოწყობის ნებართვის შესახებ. სკოლას უსაფრთხოების მიზნით ჰქონდა კამერები დამონტაჟებული გარე პერიმეტრზე, ასევე ჰყავდა დღის დარაჯი, რომელიც უზრუნველყოფდა ბავშვთა უსაფრთხოების დაცვას.

სკოლას ჰქონდა ინტერნეტით უზრუნველყოფილი 10 კომპიუტერი (მათ შორის 1 ლეპტოპი), აღნიშნული კომპიუტერებიდან 8 განთავსებული იყო კომპიუტერების ოთახში, ერთი ბიბლიოთეკაში, ხოლო ერთს იყენებდნენ დირექციაში. ვიზიტის დროს მიმდინარეობდა ვებგვერდის http://www.albioni.edu.ge განახლება. სკოლას მიეცა რეკომენდაცია განეახლებინათ კომპიუტერები და შეეძინათ პროექტორი, რაც უზრუნველყოფდა სკოლის მისიისა და სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას.

5.3. ექსპერტ მაკა ნადარეიშვილის განცხადებით, სკოლას ერთი პედაგოგი ჰყავდა სტატუსის გარეშე, რაზეც სკოლის დირექტორმა განაცხადა, რომ გამოცხადებული იყო ვაკანსია, სადაც მხოლოდ ერთი კანდიდატი დარეგისტრირდა. შესაბამისად სკოლას არჩევანის გაკეთების საშუალება არ ჰქონდა.

სკოლა ჩართული იყო მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში. გასულ წელს სკოლის შიდა შეფასების ჯგუფს არ ჰყავდა შეფასებული არცერთი მასწავლებელი.

სკოლის ადმინისტრაციას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველეყო მასწავლებელთა ინფორმირება მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით გათვალისწინებულ სავალდებულო და დამატებითი აქტივობების შესახებ, რათა მათ ფასილიტატორისა და შეფასების ჯგუფის დახმარებით შეძლებოდათ პროფესიული განვითარება. შექმნილიყო ისეთი დოკუმენტი, რომელიც დაეხმარებოდა სასწავლო პროცესის გაუმჯობესებასა

და ხარისხის უზნველყოფაში. მოახდენდა მასწავლებელთა და თანამშრომელთა საჭიროების დადგენას, გამოკვეთდა პრობლემას და შემდეგ დასახავდაპრობლემის გადაჭრის გზებს.

დაწესებულების ხელმძღვანელმა ზემოაღნიშნულზე განაცხადა, რომ სკოლას დაწყებული ჰქონდა მუშაობა ხარვეზის გამოსასწორებლად, რაც ასევე აღნიშნული იყო სკოლის მიერ ცენტრში წარმოდგენილ დოკუმენტაციაში.

სკოლის დირექტორის განმარტებით, მიმდინარე წელს სკოლას ეწურებოდა ავტორიზაციის ვადა, შესაბამისად სკოლას სურდა ხელახალი ავტორიზაციის გავლა. საბჭოს წევრებმა დაწესებულებას დაავალა ავტორიზაციის გავლის დროს წარმოედგინათ საავტორიზაციო განაცხადი თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, სადაც გათვალისწინებული იქნებოდა მონიტორინგის ჯგუფის მიერ მიცემული რეკომენდაციები და გამოსწორებული იქნებოდა ის ხარვეზები, რომლებიც დარჩა გამოსასწორებელი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ალბიონის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 9

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ალბიონის (ს/კ200072152) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ 21:00 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე

მანანა რატიანი

მდივანი

თამილა ჩუბინიძე